3032 № 13336

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ცხოვრება

წელიწადი I. 1907 წ.

თბილისი. სამშაბათი 27 თებერვალი

№ 8

ცალკე ნომერი 3 კ.

მიიღება ხელის-მოწერა 1907 წ. ყოველდღიურ პოლიტიკურ და სალიტერატურო გაზეთ

ჩვენ ცხოვრებაზე

აზიანის და ევდოშვილის მონაწილეობით.

გაზეთი ღირება:

| თბილისში: | | ქალაქ გარეთ: | |
|---|---|---|---|
| წლიურათ | 5 მ. | წლიურათ | 6 მ. |
| ექვსი თვით | 3 „ | ექვსი თვით | 3 „ 50 კ. |
| ერთი თვით | „ 50 კ. | ერთი თვით | „ . 60 „ |

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება სტამბა „საქმე“-ში. მიხეილის ქ. № 40.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ „Чвени Цховреба“. რედაქციის—ელისაბედის ქ. № 88.

## ლიბერალური ბურჟუაზია რუსეთის რევოლიუციაში.

(გაგრძელება)

მაშ ასე. კადეტები ანტი-რევოლიუციონურ პოზიციას ადგანან, — ისინი ხალხს უფრო ებრძვიან, ვიდრე რეაქციას. ტრუდოვიკ-ესერებს კი რევოლიუციონური პოზიცია უჭირავთ, ისინი გადაჭრით ებრძვიან რეაქციას.

ცხადია, რუსეთის რევოლიუციას ორ ნაწილათ გაუპა მებრძოლი ბურჟუაზია: რევოლიუციონურათ (ტრუდოვიკ-ესერები) და ანტი-რევოლიუციონურათ (კადეტები). მათ შორის კონფლიქტია ამტყდარი. და რაც უფრო წინ მიდის რევოლიუცია, მით უფრო წინ მიდის და ღრმავდება ეს კონფლიქტი.

ჩვენი ვალია ბოლომდე მივიყვანოთ ეს კონფლიქტი და მით წინ წავწიოთ ხალხის რევოლიუციონური შეგნება.

ეს კი იმასა ნიშნავს, რომ შეუძლებელია, ერთსა და იმავე დროს, კადეტებსაც დავუჭიროთ მხარი და ტრუდოვიკებსაც.

ეს კი იმასა ნიშნავს, რომ ჩვენი ვალია რევოლიუციონურ ტრუდოვიკებს დაუჭიროთ მხარი წინააღმდეგ ანტირევოლიუციონურ კადეტებისა.

ცხოვრება გადაჭრით გვიყენებს კითხვას: **ან** ტრუდოვიკებთან, **ან** კადეტებთან! და ჩვენი ვალია გადაჭრითვე უპასუხოთ:— ტრუდოვიკებთან, წინააღმდეგ კადეტებისა!

ასე ესმოდა კ. მარქს სოციალდემოკრატიული ტაქტიკა, როცა ის **რევოლიუციონურ** ბურჟუაზიის მხარის დაჭერას უიჩევდა პროლეტარიატს წინააღმდეგ ანტირევოლიუციონურ ბურჟუაზიისა (იხ. „КОММУН. МАНИФ.“).

ასე ესმის კ. კაუცკის სოც.-დემოკრატიული ტაქტიკა, როცა ის **რევოლიუციონურ** გლეხების მხარის დაჭერას აღიარებს, წინააღმდეგ ლიბერალურ ბურჟუაზიისა (იხ. „ДВИЖ. СИЛЫ“).

კადეტები ხალხის მეთაურობას ჩემულობენ, ისინი კარგა ხანია ცდილობენ „მშრომელ“ ხალხის შემოკრებას. „დეკემბრის დამარცხებამ“, ერთის მხრივ და პირველ სათათბიროს „რეპრესიულმა არჩევნებმა“, მეორე მხრივ, მათ ძალიან ხელი შეუწყო და რამოდენიმეთ დააკავშირა ხალხთან. აქედან იწყება აშკარა კონკურენცია სოც.-დემოკრატიისა და კადეტებს შორის. ვინ უნდა გამოვიდეს ხალხის მეთაურათ: სოც.-დემოკრატია, თუ კადეტები? ვის გარშემო უნდა შემოკრბეს ხალხი: კადეტების, თუ სოც.-დემოკრატების?—აი, რა კითხვებზე შენდება, ბოლოს და ბოლოს, ამ ორ პარტიის ურთიერთული განწყობილება. მართალია, კადეტების მეთაურობა, თუკი ოდესმე განხორციელდება ის, ძალიან ხანმოკლე იქნება. მართალია, ასეთი მეთაურობა ვერავითარ რევოლიუციას ვერ დაამხობს, რა გინდ ანტირევოლიუციონური იყოს ის. მაგრამ ცხადია აგრეთვე ის, რომ ასეთი მეთაურობა სახელს გაუკეთებდა ხალხში კადეტებს და დროებით დააჩლუნგებდა ხალხის რევოლიუციონურ შეგნებას.

ჩვენი ვალია ბრძოლა გამოუცხადოთ კადეტების მეთაურობას და სოციალდემოკრატიის გარშემო შემოვკრიბოთ ხალხი. ძირს კადეტების მეთაურობა! აი, რა ლოზუნგი უნდა დაედოს სარჩულად სოციალდემოკრატიის დღევანდელ მოქმედებას.

და როცა ვხედავთ, რომ ტრუდოვიკ-ესერებს და კადეტებს შორის შეურიგებელი ბრძოლაა გამართული; როცა ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ბრძოლა დღითი დღე ღრმავდება და ძლიერდება,—ჩვენი ვალია მხარი დაუჭიროთ პირველებს, გავამარტოვოთ კადეტები და მით ნიადაგი გამოვაცალოთ კადეტების მეთაურობას.

აი, კიდევ რისთვისაა საჭირო ტრუდოვიკ-ესერების მხარის დაჭერა წინააღმდეგ კადეტებისა.

აი, კიდევ რისთვის არ უნდა ვუჭერდეთ მხარს კადეტების პარტიას.

და როცა ამხ. მენშევიკები მხარს უჭერენ კადეტების პარტიას, ამით ისინი, თავის და უნებურად, სახელს უკეთებენ კადეტებს და ნიადაგს უმაგრებენ მათს მეთაურობას.

ვერ ხედავენ, რომ ყველა ამითი ნიადაგს უნგრევენ სოციალდემოკრატიის მეუათრობას!..

## „ახალგაზდა დაშნაკცაკანთა“ პროკლამაცია.

საინტერესოა ეს პროკლამაცია, საინტერესოა, როგორც დოკუმენტი. იგი ეკუთვნის „ახალგაზდა დაშნაკცაკანთა“ ჯგუფს და შეეხება ამ დღეებში მომხდარს შეტაკებებს ბაქოში, ანარქისტთ-ექსპროპრიატორთა და ზინვორებთა შორის, რომელნიც სომეხ ბურჟუათა ქონების დასაცველათ გამოვიდნენ. პროკლამაცია, თავისის შინაარსით სასიხარულო მოვლენაა სომეხ მუშათა შორის, რომელთა უმეტესი ნაწილი დგას ესრეთ წოდებულ „დაშნაკცაკანთა“ პარტიის დროშის ქვეშ. იგი ნიშანია იმისი, რომ სომეხ მუშათა შორისაც იღვიძებს რევოლიუციონური სინდისი და კლასობრივი შეგნება, იგი ნიშანია იმისი, რომ უწყებულს პარტიაში ხდება განხეთქილება, რომ ეს პარტია იხრწნება და ნიადაგი ეცლება. მას გაურბიან თვალახელილი მუშები, როგორც მათთვის მაზარალებელს პარტიას.

აი რას ვკითხულობთ ჩვენ ამ პროკლამაციაში: „ქალაქ ბაქოს ქუჩებზე კვლავ სისხლის ღვრაა. მუშები გამოვიდნენ მუშების წინააღმდეგ ბურჟუათა სიცოცხლის და ქონების დასაცველათ. ძმა სიცოცხლეს უსპობს ძმას.

„იმათ ვინც თვისი ოფლით შეუქმნეს სიმდიდრე ნაციის და სამშობლოს უარმყოფელ ბურჟუას, ეხლა თვისი სისხლიც მიიქვთ გაუმაძღარ ბურჟუათა სამსხვერპლოზე.

„ის ძალღონე, რომელიც უნდა დაიხარჯოს მშრომელ ხალხის ბედნიერების და თავისუფლების გამოსაჭედათ, ეწირება და ემსახურება სამარცხვინო ეკონომიურ და პოლიტიკურ პარაზიტებს.

„პოლიციამ და ყოფილმა რევოლიუციონურ ორგანიზაციის „ზინვორებმა“ შეკრეს ზავი და ბურჟუაზიის სისხლში ამოსვრილის ოქროთი შეაქვთ გახრწნა და გარყვნილება უკმაყოფილო ხალხის პატიოსან გულში. სომხების ცხოვრებას კვლავ მიადგა კარზე ერთა შორის შეტაკების საშინელი აჩრდილი.

„გავიცანით რა თებერვლის 4-ში და 7-ში მომხდარი შეტაკებანი, მოვისმინეთ რა ამხანაგ „ახალ-გაზდა დაშნაკცაკანების“ ახსნა-განმარტება, ჩვენ მუშა-დაშნაკცაკანები უთვლით სომხის ბურჟუაზიას ჩვენს გულის სიღრმიდამ აღმოხეთქილს ზიზღს, უთვლით მას ჩვენს წყევლა-კრულვას, რადგანაც იგი თავის ქონების დასაცველათ შეუგნებელ მუშებს აღვრევინებს სისხლს. უთვლით ჩვენს აღშფოთებულ უკმაყოფილებას იმ ანარქისტებს, რომელთაც რევოლიუციის წმინდა საქმე გადააქციეს შეუწყვეტელ ყაჩაღობად, ძარცვა-გლეჯათ და სისხლის ღვრად! ამასვე უთვლით იმ დაშნაკცაკანებსაც, რომელნიც იქამდე მივიდნენ, რო ბურჟუაზიას მიჰქირავდნენ და პოლიციასთან შეკრეს ზავი. მივმართავთ ჩვენ ნავთის ყველა რაიონების მშრომელ ხალხს და მივუთითებთ მათ, რო საქვეყნოთ გამოაცხადონ ხოლმე ბურჟუაზიის და მთავრობის ყოველივე ვერაგული ნაბიჯი, მოერიდნენ მათ და სამარცხვინო ბოძზე გააკრან ყოველი მუშა, რომელნიც დაქირავებულ მკვლელებათ გამოდიან“

ამ პროკლამაციას, როგორც ზევითაც ვსთქვით, ხელს აწერს „ახალგაზდა დაშნაკცაკანთა ჯგუფი“.

ჩვენ სიხარულით ვეგებებით ამ თამამ და პირდაპირ შებრძოლებას მუშა-დაშნაკცაკანებისას იმ ბურჟუაზიულ ვერაგობა-უსინდისობასთან, რომელიც მეფობს დაშნაკცაკანების პარტიაში. ჩვენ დიდი ხანია ვიცით, რომ სხვადასხვა ელემენტებისაგან ხელოვნურათ შეკოწიწებულ დაშნაკცაკანთა პარტიაში, და კერძოთ მუშათა და რევოლიუციონურ ახალგაზდობაში ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ამ პარტიის ბურჟუაზიულ-ნაციონალურ ნაწილში, დიდი ხანია გამწვავებული ბრძოლაა. მაგრამ აქნობამდე პარტიის ცენტრი, რომელშიაც მეფობენ ბურჟუაინტელიგენტების ძველი ლიდერები პარტიისა, ასე თუ ისე ჰფარავდა და აქარწყლებდა ამ უთანხმოებას.

ისინი თვისი „რევოლიუციონურ“ და „სოციალურ“ ფრაზეოლოგიით ახერხებდნენ აქნობამდე დაეფარათ თვისი ბურჟუაზიულ-ნაციონალური „საქმენი“ და კეთილი განწყობილება ჰქონოდათ იმ პარტიის მემარცხენე მუშებთან, რომელნიც გულწრფელათ მიისწრაფიან სოციალიზმისკენ.

„ახალგაზდა დაშნაკცაკანთა“ ჯგუფის ამხედრება ნიშანია პარტიის პროლეტარულ და ბურჟუაზიულ ნაწილთა შორის შეტაკებისა. ეს, ჩვენის აზრით, ჰეურყეველი ფაქტია „დაშნაკცაკანთა“ პარტიაში განხეთქილების დასაწყისისა.

უნდა მხედველობაში მივიღოთ, რომ ბაქოელ მუშების ამგვარი პროტესტი მხოლოდ ძველ დაშნაკცაკანებს და „ზინვორებს“ კი არ შეეხება, არამედ იგი უფრო შეეხება პარტიის ოფიციალურ ცენტრს, პარტიის ლიდერებს, და კერძოთ გაზ. „ჟამანაკის“ რედაქტორებს, რომელთაც ხშირად, რალაც გაუგებრობის გამო, პარტიის მემარცხნეთა აზრების გამომხატველათ სთვლიან. საქმე იმაშია, რომ, თუ სრულიად არა, უაღრესად მაინც ბაქოში მომხდარ ტრაგედიის მიზეზათ სთვლიან პარტიის ლიდერებს და გაზ. „ჟამანაკის“ პუბლიცისტებს. აი ესენი ქადაგებდნენ ამგვარ ბრძოლას ექსპროპრიატორებთან, ისინი ნიშნავდნენ თვის „ზინვორებს“ სომეხ-კაპიტალისტების დასაცველად, ისინი გზავნიდნენ მუშებს სომხის ბურჟუას ქონების დასაცველათ და მათთვის სისხლის დასაღვრელად. ისინი ქმნიდნენ „დაქირავებულ მკვლელებს“ და პოლიციის მოკავშირეებს, იმ მუშათაგან, რომელნიც საჭირონი და გამოსადეგნი იქნებოდნენ მშრომელ ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის*).

ეს ყველა კარგათ იციან ბაქოს მუშებმა და მით უმეტეს ჩვენ დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ მათ ენერგიულ პროტესტს.

ამიტომ ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით მათ და ვეუბნებით: „განაგრძეთ, ამხანაგო მუშებო, თქვენი გმირული ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, რომელნიც თქვენს ოფლს, თქვენს სისხლს, თქვენს სიცოცხლეს თავის ქონების დასაცველად ხმარობენ! თქვენ გსურთ თქვენი სიცოცხლე შესწიროთ ხალხის თავისუფლებას და ბედნიერებას, ისინი კი თქვენ გხდიან „დაქირავებულ მკვლელებად“ და „პოლიციის მოკავშირეებათ“! თქვენი ბრძოლა საუკეთესო თავდებია სომხის ბურჟუასთან კავშირის გაწყვეტისა და შეერთება ყოველ სომეხ, თათარ ქართველ და სხვა მუშებთან ერთ, სოციალდემოკრატიულ პარტიის პროლეტარულ ბაირაღ ქვეშ.

**სტეფანე.**

---

*) საჭიროა აღინიშნოს, რომ მათ არც „სოციალდემოკრატიული“ გაზეთი „ოსაანქ“-ი ჩამორჩა. „ოსანქი“ ბურჟუაზიას უქადაგებდა „ბრძოლას ექსპროპრიატორებთან“ და ამ ბრძოლაში სოციალდემოკრატიის დახმარებასაც ჰპირდებოდა. **სტ.**

## ახალი ამბავი

—

კვირას, 25 თებერვალს, დაასაფლავეს, ამას წინად ვერაგულათ მოკლული, ამხ. **გიგო მაილოვი.** მიცვალებულის კუბოს თერთმეტი წითელ ლენტებით შემკული გვირგვინი ამშვენებდა. პროცესია დაახლოვებით 10,000 კაცისაგან შესდგებოდა და გზა და გზა სხვადასხვა რევოლიუციონურ სიმღერებსა მღეროდა. გზაში რამდენჯერმე მიტინგი გაიმართა, სადაც ცხარე სიტყვები იქმნა წარმოთქმული. კრწანისის სასაფლაოზე, სანამ მიცვალებულს მიწას მიაბარებდნენ, დიდებული მიტინგი გაიმართა და დროის შესაფერი რეზოლიუცია იქმნა გამოტანილი, რომელიც გადაწყდა თბილისის დეპუტატს სახელმწიფო სათათბიროში ეცნობოს.

✦ 25 თებერვალს, ღამით, პოლიციამ დააპატიმრა 25 კაცი, „თაიროვ, ალიხანოვ და ამხ." საპნის ქარხნის მუშები. მიზეზი გაფიცვაა.

✦ 25 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, კადეტის ქუჩაზე მცხოვრებმა ვასილ ნიკიტინმა პოლიციას განუცხადა, რომ მან ფინური დანით სასიკვდილოთ დასჭრა თავისი ცოლი ბარბარე ნიკიტინი, რომელიც მიხეილის საავათმყოფოში წაიყვანეს და გზაში გარდაიცვალა. მიზეზი რომანტიულია. მკვლელი დააპატიმრეს.

✦ 24 თებერვალს, ღამის 2 საათზე, ეჩმიაძინის და სურპ-მინასის ქუჩების კუთხეში ვიღაც უცნობმა სასიკვდილოთ დასჭრა განჯის გუბ. მცხოვრები სარქის პეტროსოვი და მიიმალა. პეტროსოვი მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

✦ ამას წინათ გაზეთებში აღნიშნული იყო სანდრო ჯავახიშვილის უგზო-უკვლოთ დაკარგვა. ეხლა გამორკვეულა, რომ ჯავახიშვილი კერძო ინტერესების გამო სოფ. კოდის წყაროში მოუკლავთ. მკვლელები, როგორც გაიგეთ, შეუპყრიათ.

✦ 24 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, ხარფუხში, 8 შეიარაღებული კაცი თავს დაესხა შერგილოვს და წაართვეს 35 მან. და ვერცხლის ქამარი და მიიმალნენ. შემდეგ მძარცველებმა ქამარი უკან დაუბრუნეს.

✦ 24 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, 2 საპოლიციო ნაწილის „ოკოლოდოჩნიკი" ფარნაოზ გაბილაია ვერის ტრამვაის ვაგონით მიდიოდა. ვერის ხიდის ახლო ამავე ვაგონზე შეხტა ვიღაც უცნობი, ორჯელ რევოლვერი დაახალა და მიიმალა. მძიმეთ დაჭრილი გაბილაია საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ გზაში გარდაიცვალა.

✦ კვირას, 25 თებერვალს, დისკუსია იყო ანარქისტებსა და სოციალდემოკრატებს შორის. დისკუსიას 80 კაცამდე დაესწრო. სოც.-დემ. დანიშნული იყო ამხ. კობა, ანარქისტებიდან ცნობილი „Baton", მაგრამ ეს უკანასკნელი სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ გამოცხადდა. მიუხედავათ ამისა დისკუსია მაინც შესდგა, რადგანაც ანარქისტების პოზიციას თავგამოდებით იცავდა მისი „უპარტიო" ანარქისტი. კამათი იყო ტაქტიკურ კითხვებზე და სამსაათ-ნახევარი გაგრძელდა.

✦ გუშინ, 26 თებერვალს, მიხეილოვის საავათმყოფოში მოიტანეს ქუთაისის გუბ. რაჭის მაზრის მცხოვრების, 16-17 წლის ყმაწვილის პარმენ მაისურაძის გვამი, რომელსაც მე-5 საპოლიციო უბანში თავი მოუკლავს.

✦ 25 თებერვალს, ღამე ყულაბარში, პეტრე-პავლესა და კონსტანტინოვის ქუჩების კუთხეში პოლიციამ ეტლით მიმავალი ყმაწვილი კაცი მოსეს დანილოვი გააჩერა და გაჩხრიკა, რომელსაც რევოლვერი, 79 პატრონა და ბებუთი აღმოაჩნდა. დანილოვი საკომენდანტო სამმართველოში წაიყვანეს.

—

შეცდომის გასწორება. გაზეთ „ჩვენი ცხოვრების" მეექვსე №-ში მოთავსებული იყო „ღია წერილი" ტრამვ. კონდუქტორ სარქიონ ჰელიძისადმი, სადაც შეპარულია შემდეგი კორრექ. შეცდომა: „ვადას გაძლევ დღეს". უნდა იყოს: „ვადას გაძლევ 5 დღეს".

## პარტიის ცხოვრება

—

**ბათუმი.** გასულ კვირას ადგილობრივი კომიტეტის წინადადებით მოხდა პროპაგანდისტთა დამფუძნებელი კრება, რომელზედაც დაესწრო 20 ამხანაგი-პროპაგანდისტი და მოწინავე მუშები. როგორც კამათის დროს გამოირკვა, ბათუმში ორი-სამი თვეა არ არსებობს არავითარი პროპაგანდა, მიუხედავათ იმისა, რომ ადგილობრივათ არც ისე ცოტა ძალებია. ამ გვარმა არანორმალურმა მოვლენამ დიდი სჯა-კამათი გამოიწვია. კრება შეუდგა მიზეზების გამოკვლევას და საშუალების გამოძებნას. დიდი ხნის კამათის შემდეგ, კრებამ შემდეგი გამოარკვია: საერთო მიზეზებად შეიძლება ჩაითვალოს 1) კონტრ-რევოლიუციის მძვინვარება 2) საერთო მოძრაობის შეჩერება ზერელე შეხედვით, აქედგან გულცივობა და ინდიფერენტიზმი.

3) პარტიული კრიზისი, ჩინოვნიკობა და „მეშჩანობა" ჩვენ პარტიაში. „ზოგნიო,—ამბობდნენ განსაკუთრებით მოწინავე მუშები,—ჩვენს პარტიაში შემოდიან პირად ინტერესების დასაკმაყოფილებლად და არავითარი პარტიული საქმე მათ არ ეხალისებათ და თუ რასმეს აკეთებენ იმასაც გულცივათ, რომ მათ შემოაქვთ პარტიაში „მეშჩანური" ფსიხოლოგია, უდისციპლინობა, რაც პარტიას ხრწნის და აქვეითებს.

4) მასსის შეგნების გაზრდა: დღეს მუშებს ვეღარ აკმაყოფილებს ბევრი ჩვენი პროპაგანდისტი.

5) ორგანიზაციის და ხელმძღვანელ დაწესებულებების მოუწყობლობა და პარტიულ კონტროლის უქონლობა და სრული უპასუხისმგებლობა პროპაგანდისტებისა და ორგანიზაციის წევრებისა.

კრებამ ზემო ჩამოთვლილ მიზეზების მოსასპობათ, სხვა საშვალებათა შორის დაინახა დიდათ საჭირო, პროპაგანდისტთა კოლეგიის დაარსება, შეიმუშავა პროგრამა მუშაობისა და დაადგინა, რომ ზარმაცი პროპაგანდისტი განდევნილი იქმნას კოლეგიიდან, რომ ხელი შეუწყოს მუშების პროპაგანდისტათ მომზადებას, კოლეგიამ მიიღო კოლეგიაში მოწინავე მუშებიც.

**უკიდურეს მემარცხენეთა კრება.** 18 თებერვალს პეტერბურგში მოხდა ს. დ-ების ესერების. სახ. სოც. და ტრუდოვიკების წარმომადგენელთა სათათბირო კრება. კრებას ყველა მემარცხენეთაგან შემდგარ ინფორმაციულ ბიუროს შედგენის და პრეზიდიუმის არჩევნების შესახებ კითხვები ჰქონდა განსახილველი. ს.-დ. ფრაქციის სახელით დეპუტატმა წერეთელმა კრებას განუცხადა, რომ ს.-დ. ფრაქცია არავითარ სავალდებულო დამოკიდებულებით სხვა პარტიებთან არ შეიკრავს ხელ-ფეხს. ს.-დ. ფრაქციას უფრო ხშირად მარცხნივ მდგომ პარტიებთან მოუხდება ერთად სიარული და არა კადეტებთანაო. კრებას ვერ გაუკვევია ზემოხსენებული კითხვები და მათ ყველა ფრაქცია სხვების დამოუკიდებლივ თავის კრებებზე გადასწყვეტავს.

**ს-დ. ფრაქციის შედგენილობა.** სახელმწიფო დუმის სოციალდემოკრატიულ ფრაქციაში პარტიას 37 ოფიციალური წარმომადგენელი ჰყოლია. მათ შორის ორი მესამედი ნაწილი მენშევიკებია, ხოლო ერთი მესამედი—ბალშევიკები. ერთად დ-მაში 52 სოციალდემოკრატია. ფრაქციის კომიტეტი 5 კაცისაგან შესდგება. ამათში 4 მენშევიკია და ერთი ბალშევიკი. როგორც ამბობენ დანარჩენი 15 ს.-დ., რომლებიც მენშევიკურ ც. კ. გადაწყვეტილებით ჯერ არ შეუშვიათ ს.-დ. ფრაქციაში.—მეტი წილი ბალშევიკებიაო.

## ქუთაისის ციხე.

—

**ბუთუა ჩუბინიძის ხსოვნას.** 14 თებერვალს, ქუთაისის ციხეში ტიფით, რომელიც ამ ჟამად ციხეში ძალიან მძვინვარებს, გარდაიცვალა ამხანაგი ბუთუა ჩუბინიძე. ჯერ კიდევ ახალ-გაზდა, ჯან-

# ფელეტონი

## ანარხიზმი თუ სოციალიზმი?

### III

### პროლეტარული სოციალიზმი.

(იხ. „ჩვ. ცხ." № 5)

ისტორია გვეუბნება, რომ ის კლასი, ან ის ჯგუფი, რომელიც უმთავრეს როლს თამაშობს საზოგადოებრივს წარმოებაში, რომელიც თავის ხელში ატრიალებს წარმოების უმთავრეს ფუნქციებს,—დღეს არა—ხვალ, ხვალ არა—ზეგ, აუცილებლათ უნდა გადიქცეს ამ წარმოების ბატონ-პატრონათ. იყო დრო, დრო მატრიარხატის, როცა დედაკაცები წარმოების ბატონ-პატრონად ითვლებოდნენ. რატომ იყო ასე? იმიტომ, რომ მაშინდელ წარმოებაში, პირველყოფილ მიწათ-მოქმედებაში, დედაკაცები უმთავრეს როლს თამაშობდნენ, ყველა მთავარი ფუნქციები მათ ეპყრათ, ხელში, მაშინ როდესაც მამაკაცები ტყე-ტყე დაძრწოდნენ ნადირის საშოვრათ. დადგა დრო, დრო პატრიარხატის, როცა წარმოების ბატონ-პატრონობა მამაკაცების ხელში გადავიდა. რატომ მოხდა ასე? იმიტომ, რომ მაშინდელ წარმოებაში, მეჯოგურ წარმოებაში, სადაც შუბი, ქამანდი და შვილდ-ისარი ყველაფერს წარმოადგენდა, უმთავრეს როლს მამაკაცები თამაშობდნენ... დგება დრო, დრო სხვილ კაპიტალისტურ წარმოებისა, როცა პროლეტარები უმთავრეს როლს თამაშობენ წარმოებაში, როცა ყველა მთავარი საწარმოვო ფუნქციები მათს ხელში გადადის, როცა წარმოება ერთს დღესაც ვერ გასძლებს უიმათოთ, (გაიხსენეთ საერთო გაფიცვები) როცა კაპიტალისტები არა თუ საჭიროებას არ წარმოადგენენ წარმოებისთვის, არამედ ხელსაც უშლიან მას,—დიახ, დგება ასეთი დრო, და ეს კი იმას ნიშნავს, რომ ან სავსებით უნდა დაინგრეს ყოველივე საზოგადოებრივი ცხოვრება, ან პროლეტარიატი, ადრე თუ გვიან, აუცილებლათ უნდა გადიქცეს დღევანდელ წარმოების ბატონ-პატრონად, მის ერთათ ერთ მესაკუთრედ, სოციალისტურ მესაკუთრედ.

დღევანდელი სამრეწველო კრიზისები, რომლებიც ანდერძს უგებენ კაპიტალისტურ საკუთრებას და გადაჭრით აყენებენ კითხვას: **ან** კაპიტალიზმი, **ან** სოციალიზმიო,—პირდაპირ ნათელ ჰყოფენ ამ დასკვნას, პირდაპირ ააშკარავებენ კაპიტალისტების ხორცმეტობას და სოციალიზმის გამარჯვების აუცილებლობას.

აი კიდევ როგორ ასაბუთებს ისტორია მარქსის პროლეტარულ სოციალიზმის აუცილებლობას.

ცხადია, სოციალისტური ცხოვრება ისეთივე აუცილებელი საფეხური ყოფილა საზოგადოების განვითარებაში, როგორც მზის ამოსვლა ღამის შემდეგ.

დიახ, ჩვილ გრძნობებზე კი არა, ცალიერ „სამართლიანობაზე" კი არა, პროლეტარიატისადმი „ნეჟნ" სიყვარულზე კი არა,—არამედ ზემოთ მოყვანილ მეცნიერულ საბუთებზეა დამყარებული პროლეტარული სოციალიზმი. ამიტომ არის, რომ მას სხვანაირათ „მეცნიერულ სოციალიზმს" უწოდებენ.

ამიტომ ამბობდა ენგელსი 1877 წელს: „ჩვენი რწმენა სოციალისტური რევოლიუციის აუცილებლობაზე... მარტო იმ აზრზე რომ იყვეს დამყარებული, რომ ქონებათა განაწილების დღევანდელი მეტოდი უსამართლოა, და სამართლიანობა კი ოდესმე თავისას გაიტანს,—მაშინ ჩვენი საქმე ძალიან ცუდათ იქნებოდა და ბევრ ხანს მოგვინდებოდა ლოდინი"... თავიდათავი ის არის, „რომ როგორც კაპიტალისტურ წარმოების სისტემისგან შექმნილი საწარმოვო ძალები, ისე მისგანვე შემუშავებული მეტოდი ქონების განაწილებისა, შეურიგებელ წინააღმდეგობაში ჩაუდგა მთელ კაპიტალისტურ წარმოების სისტემას, რომელ წინააღმდეგობასაც ან საზოგადოების დაღუპვა უნდა მოჰყვეს, ან ძირეული გარდაქმნა წარმოებისა და განაწილების სისტემაში. აი, ეს აშკარა მატერიალური ფაქტია... თავდები სოციალიზმის გამარჯვების აუცილებლობისა, და არა შინმჯდომელა მეცნიერების ოცნება სამართლიანობაზე და უსამართლობაზე." (იხ. „ანტიდიურინგი").

დიახ, კაპიტალიზმის დანგრევა და სოციალისტურ ცხოვრების დამყარება ფანტაზია არ არის, ყინულზე დაწერილი ოცნება არ არის,—ეს ისეთივე აუცილებელი მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში, როგორც კაპიტალიზმის აღმოცენება ფეოდალიზმის შემდეგ.

ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ, რახან კაპიტალიზმი ბერდება, ამიტომ სოციალისტური ცხოვრება ყოველთვის შეიძლება განვახორციელოთ, როცა კი ამას მოვინდომებთ. ასე მხოლოდ ანარქისტები და სხვა წვრილ ბურჟუაზ. იდეოლოგები ფიქრობენ. სოციალისტური იდეალი არ არის ყველა კლასების იდეალი—ეს მხოლოდ პროლეტარიატის იდეალია, და მის განხორციელებაში პირდაპირ დაინტერესებულია არა ყველა კლასები, არამედ მხოლოდ პროლეტარიატი. ეს კი იმასა ნიშნავს, რომ სანამ პროლეტარიატი საზოგადოების მცირე ნაწილი იქნება, მანამდე შეუძლებელია სოციალისტურ ცხოვრების დამყარება. ძველ წარმოების დასამარება, სხვილ კაპიტალისტურ წარმოების უფრო გასხვილება და საზოგადოების უმეტესობის გაპროლეტარება,—აი, რა პირობებია საჭირო სოციალიზმის განსახორციელებლად. მაგრამ ეს კიდევ არა კმარა. შეიძლება საზოგადოების უმეტესობა უკვე გაპროლეტარებული იყოს, მაგრამ სოციალიზმი მაინც ვერ დამყარდეს. და ეს იმიტომ, რომ სოციალიზმის დასამყარებლად, პროლეტარობის გარდა საჭიროა კიდევ კლასიური შეგნება, პროლეტარიატის დარაზმვა და უნარი საკუთარ საქმეების გაძღოლისა. ხოლო ყველა ამეების შესაძენად, თავის მხრივ, საჭიროა ეგრეთ წოდებული პოლიტიკური თავისუფლება, ე. ი. სიტყვის, ბეჭდვის, გაფიცვის, კავშირის და, საერთოთ, კლასთა ბრძოლის სრული თავისუფლება. პოლიტიკური თავისუფლება კი ყველგან ერთნაირათ

ლონით სავსე, [illegible] წლის ბუთუა, ასე უდროოთ გა[illegible]ალმა თავის ამხანაგებს.
—ჯერ კიდევ მოძრაობის დაწყებამდე, ბუთუა მიეკედლა სოც.-დემ. პარტიას და ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა მასში, რითაც შეეძლო. შვილი ღარიბის დედ-მამისა, იძულებული იყო მიეტოვებინა სოფლის სკოლა და ემუშავნა რკინის გზაზე ბელაგორში, ამიტომ მას ხშირათ უხდებოდა გაევრცელებინა ხოლმე ბელაგორსა და ხაშურს შორის, გადმოცემული ფურცლები და ბროშურები. 1905 წელს დეკემბერში, როდესაც რაზმელები ყვირილის და ბელაგორის სადგურებზე დაბანაკდნენ, ბუთუაც ბელაგორის რაზმში იყო, როგორც ერთი ათის-თავთაგანი და გატაცებით იღებდა მონაწილეობას რაზმის ყოველ მოქმედებაში. რეაქციის შემდეგ, იანვარში ის დაიჭირეს და ციხეში ამოაყოფიეს თავი. დაჭერის დროს სალდათებს მისთვის ძალიან ეცემნათ და ხიშტებით დაეფლითათ მისი გვერდები. ცამეტი თვე იჯდა ბუთუა ქუთ. ციხეში, დაბოლოს მას შეხვდა ტიფი, რომელმაც ხუთი დღის განმავლობაში მოუსპო მას ჯერ კიდევ ნორჩი სიცოცხლე. ორი დღის წინათ მას ენა გაუჩერდა, ვერ ლაპარაკობდა თუმცა გრძნობა არ ჰქონდა დაკარგული. გვანიშნა რომ რაღაც უნდა სთქვას, მაგრამ ვერ მოახერხა, ჩვენ კარანდაში მივაწოდეთ, მაგრამ სისუსტის გამო ვერაფერი დაწერა და ასე უთქმელათ განუტევა სული. მაგრამ, ჩვენ ვიცით რაც უნდა გეთქვა ამხანაგო, და ვეფიცებით შენის, ჯერ კიდევ გაუციებელი, გვამის წინაშე, რომ მას ავასრულებთ. ახლა კი მშვიდობით ამხანაგო! საუკუნოთ იყოს ხსენება შენი!

**ტიფი ციხეში.** ამ ჟამათ, როგორც გვატყობინებენ, ქუთაისის ციხეში საშინლათ მძვინვარებს ტიფით ავადმყოფობა, რის მსხვერპლიც წარსულ კვირაში გახდარა ახალგაზდა ამხანაგი ბუთუა ჩუბინიძე. ტუსაღებს მოუთხოვიათ, რომ ციხის მმართველობამ ამას ყურადღება მიაქციოს და ტუსაღთა რიცხვი შეამცირონ სხვაგან გადაყვანით. მმართველობა დაჰპირებია, რომ საავათმყოფოს სხვაგან გადიტანს, მაგრამ საქმე ჯერ ისევ იმ მდგომარეობაში იმყოფება თურმე.

**შორაპნის საქმე.** ეგრეთ წოდებულ შორაპნის საქმის (ყვირილისა და ბელაგორის სადგურებზე სალდათების იარაღის აყრა) დამთავრებას ბოლო არ უჩანს. საქმემ, გამომძიებელიდან დაწყებული, მოიარა პროკურორი, გუბერნატორი, ნამესტნიკი და ახლა ისევ გამომძიებლის ხელშია: ბრალდებულნი აგერ 13 თვეა ქუთაისის ციხეში იმყოფებიან და თავდებში არავის უშვებენ, მათი რიცხვი ოცამდეა.

**ლეჩხუმის საქმე.** 9 მარტს ქუთაისში, თბილისის პალატის ესსია გაარჩევს, ეგრეთ წოდებულ, ლეჩხუმის საქმეს. ამ საქმეზე ბრალდებულთა რიცხვი თხუთმეტამდეა და ჰბრალდებათ ლეჩხუმის სხვადასხვა ადგილას პოლიციელებისა და სტრაჟნიკების იარაღის აყრა. ბრალდებულთ ქუთათური ვექილები იცავენ.

**ეტაპის შეჩერება.** რადგან ქუთაისის ციხეში ტიფი მძვინვარებს, ამის გამო ეტაპები შეჩერებულია და ბევრი გადასახლებულნი ისევ ციხეში იმყოფებიან.

**დ—კო.**

---

## პ რ ო ვ ი ნ ც ი ა

**ახალ-სენაკი.** ჩვენი ახალ-სენაკის მედუქნეები ძლიანი მოვაჭრენი არიან. წარმოიდგინეთ, კვირა დღესაც არ აცლიან, რითაც ნოქრების გაჭირვება აუტანელია. ნოქრებს არა აქვს მოსვენება არას დროს: დილიდამ საღამომდინ საქმეში არიან და კვირას, იმის მაგივრად რომ ეხლა მაინც მოასვენონ ამ ერთ დღეს ნოქრები და თავისუფლათ გაუშვან, ჩვენი ბატონი-ხაზეინები მიჰხურავენ დუქნებს და შიგნით ვაჭრობენ. როგორ უნდა განთავისუფლდნენ ნოქრები ასეთ აუტანელ გაჭირვებისაგან? ნუ თუ ნოქრებისათვის კვირაში ერთ დღეს ვერ იმეტებენ დიდებული ხაზეინები? მხოლოდ ხუთიოდე დუქნის ნოქრები არიან კვირას თავისუფალნი. სხვა? სხვა ისევ მონობასა და ბორკილებში ჰყავთ. მაგრამ გახსოვდეთ, ბ-ნო ხაზეინებო, რა დრო დგება დღეს? ძველი წესები ირღვევა, ხალხი იღვიძებს და რაც დღემდის შეკრჩენიათ, ის ხვალ აღარ შერჩებათ! დიახ, დადგება დრო, როცა ჩვენც გამოვიღვიძებთ, ჩვენც შევერთდებით, და მაშინ თუ თქვენვე არ ახსნით ნოქრებს „კვირა-უქმის" ბორკილებს, ცხოვრების ტალღები თითონ უარჰყოფენ თქვენს კადნიერებას, გამოამჟღავნებს თქვენს ეხლანდელ საზიზღარ საქმეს.

მაშ, ამხანაგნო ნოქრებო! დროა, ჩვენც ისე მოვიქცეთ, როგორც სხვა ქალაქებში იქცევიან ჩვენი მოძმენი!

**ნოქარი საშა**

---

## რ უ ს ე თ ი

**ლოკაუტის მსხვერპლნი.** გაზეთ „სოვს" ატყობინებენ ლოძიდან, რომ უმუშევართა დამხმარე კომისიამ, 20 თებერვალს, ლომბროვოში 150 ბავშვი აგზავნა. 21 თებერვალს კიდევ 150 უნდა გაესტუმრებინათ ვარშავაში. სულ 750 ბავშვია დღემდის სხვა-და-სხვა ქალაქებში დარიგებული. ამავე გაზეთის სიტყვით, 14 თებერვალს შიმშილით სიკვდილის სამი შემთხვევა მომხდარა. იმავე დღეს ხამუშაოთ მიმავალ მუშებს შიმშილით გონება მიხდილი კაცი უნახავთ ქუჩაში დაგდებული, რომელიც მუშა, ლევ ვალიშკევიჩი გამოდგარა. 42 წლის სტანისლავ მალინოვსკი უმუშევრობას ისეთ უკიდურეს მდგომარეობაში ჩაუგდია რომ მას საწამლავი დაულევია. თხუთმეტ თებერვალს კიდევ ორი შემთხვევა მომხდარა შიმშილით სიკვდილისა სად ხდება ეს ამბები: იუზოვკისის რომელიმე დრამაში, თუ სინამდვილეში? დიახ, სინამდვილეში. ეს ხდება რუსეთის ყველა ქალაქში თითქმის უფრო ევროპიულ ქალაქში, ლოძში! რატომ ხდება ყველა ეს? ვის დასჭირდა საბრალო ვალიშკევიჩის სიცოცხლე! ვინ გადააყლაპა სიცოცხლის მოსპობი საწამლავი მალინოვსკის? ვინ მოაშორა 750 უმწეო, უდანაშაულო ბავშვი თავის დედ-მამას? ლოძელმა კაპიტალის მაგნატებმა: მათ მიუსიეს შიმშილი ლოძის მუშებს მხოლოთ იმიტომ, რომ უკანასკნელებმა გაბედეს თავის საყოველდღეო ინტერესებისთვის ხმის ამაღლება.

**ხალხის შეჯახება პოლიციასთან.** საღამოს ხუთ საათზედ, როცა სახელმწიფო დუმის დეპუტატებმა იწყეს კარზედ გამოსვლა, მათ შეადერნის ქუჩაზე დიდ-ძალი ხალხი მიეგება. მასსა მეშარცხენე დეპუტატებს „ურა" და „ამნისტია"-ს ძახილით მიეგება. საღამოს $5^1/_2$ საათზე კი, როცა სახელმწიფო დუმის შენობიდამ, მუშათა დეპუტატების ერთი ნაწილი, მათ შორის რამოდენიმე ტრუდოვიკი და ესერი, გამოდიოდა, მუშები დიდის აღტაცებით მიეგებნენ დეპუტატ ალექსინსკის და ხელით მაღლა აიყვანეს. გამოჩნდა წითელი დროშები, მასსამ „მარსელიოზა" იმღერა, დეპუტატები ხელში აჰყავდათ. ისინიც სიტყვით მიმართავდნენ ხალხს და ამით იწყებოდა ურიცხვ მასის დემონსტრატიული დიდებული პროცესია. მხოლოდ კიროჩნი ქუჩაზე ცხენოსანმა პოლიციამ მოინდომა გაეფანტა დემონსტრანტები, მაგრამ მათ იქ მყოფი დეპუტატები წინ აღობობოდნენ და გადაჭრით უცხადებენ, რომ პოლიცია მოშორებოდა. პოლიციამ აღარ იცოდა რა ექმნა მანიფესტანტებმა კიროჩნი ქუჩიდამ ნევის პროსპექტს შეუხვიეს—და თითქმის 100,000 კაცისგან შემდგარ მასსად გარდაიქცა. მხოლოდ ლიტვინის პროსპექტზე ცხენოსან ჟანდარმებმა მოახერხეს წრის გარღვევა და მათრახებით ხალხი გაფანტ-გამოფანტეს. ბევრი ნაცემი და ცხენებისგან დაბეჟილია.

---

## უ ც ხ ო ე თ ი

**ავსტრია.** ამ ჟამათ დიდ სამზადისშია ავსტრიის პროლეტარიატი ახალ არჩევნებისთვის, რომელიც დანიშნულია 14 მაისისთვის და რომელიც ახლად მოპოვებულ საყოველთაო და თანასწორ საარჩევნო უფლების საფუძველზე უნდა მოხდეს. მანამ ვიტყოდეთ მას, თუ როგორ ემზადება ავსტრიის პროლეტარიატი ამ ახალ საარჩევნო ბრძოლისთვის და რა კითხვების გადაწყვეტას აპირებს იგი განახლებულ პარლამენტში, რომელშიაც იმედია კვლავინდელზე უფრო მეტი მოხვდება ნამდვილი მუშათა კლასის ინტერესების წარმომადგენელი,—ზედმეტი არ იქნება, თუ მოკლეთ გადავავლებთ თვალს ძველ საარჩევნო უფლებას.

ავსტრიაში, როგორც საერთოთ ყველა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, პარლამენტი შესდგება ორი პალატისაგან: ზედა-პალატისაგან და ქვედა-პალატისაგან. რადგან ზედა-პალატას ძალიან ცოტა მნიშვნელობა აქვს ავსტრიის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამიტომ ჩვენ აქ შევეხებით მარტო ქვედა-პალატას.

1867 წლიდან დაწყებული 1873 წლამდე ქვედა პალატის დეპუტატებს ირჩევდა არა პირდაპირ თვით ხალხი, არამედ იგი შესდგებოდა ლანდტაგებიდან გამოგზავნილ დელეგატებიდან. 1873 წლიდან კი, დეპუტატებს ირჩევს პირდაპირ ხალხი, მაგრამ ყველა არა. საარჩევნო უფლება აქვს, მაღალ წოდების ჩამომავალთა და თვის პროფესიათ მაღლა მდგომთ გარდა, მას ვინც ყოველ წლივ იხდის 20 კრონს პირდაპირ გადასახადს. 1882 წელს ეს ცენზი მცირდება და ჩამოდის 10 კრონზე. 1896 წელს კიდევ კლებულობს და მხოლოდ ამავე წლის 14 ივნისის კანონით საარჩევნო უფლება ეძლევა ყველა მამაკაცს, რომელიც კი 24 წლისა არის. ამ კანონით თუმცა ყველა მამაკაცს ეძლევა არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება, მაგრამ თანასწორ არჩევნებითი უფლებამდის კი ჯერ კიდევ შორსაა. საქმე იმაშია, რომ ამ კანონის ცხოვრებაში გატარების დროს, ავსტრიის მთავრობამ, როგორც საერთოთ ყველგან და ყოველთვის, მიმართა ხრიკებს. ერთი ხელით საყოველთაო არჩევნებითი უფლება მისცა ხალხს და მეორე ხელით კი ყოველივე მისი მნიშვნელობა გააუქმა. მან გაჰყო მთელი ამომრჩევლები ხუთ რიგად—ხუთ კურიად, რომელნიც ცალცალკე ირჩევდნენ დეპუტატებს. ამნაირი კურიები ავსტრიაში იყო ხუთი: 1) მსხვილ მიწათმფლობელთა კურია; 2) ვაჭარ-მრეწველთა კურია; 3) ქალაქის მცხოვრებთა კურია; 4) სოფლის საზოგადოებათა კურია და 5) საყოველთაო კურია. რამდენათ დაამახინჯა საყოველთაო საარჩევნო უფლება ამგვარმა ამომრჩეველთა დანაწილებამ, ამას თვალნათლივ გვიჩვენებს უკანასკნელი 1901 წლის რეიხსრატში არჩევნების სტატისტიკური ცნობები.

აი, ეს ციფრებიც:

| ამომრჩეველთა კურია. | ამომრჩეველთა რიცხვი. | დეპუტატთა რიცხვი. | ამომრჩევლ. პროც. შემადგენლობა. | დეპუტატების პროც. შემადგენლ. |
|---|---|---|---|---|
| მსხვილი მიწათ-მფლ. | 5,431 | 85 | 0,07 | 20,00 |
| სავაჭრო-სამრეწ. კამერ. | 556 | 21 | 0,01 | 4,93 |
| ქალაქები . | 493,804 | 118 | 6,97 | 27,73 |
| სოფლის საზოგადოებ. | 1,585,466 | 129 | 22,36 | 30,34 |
| საყოველთაო კურია . . | 3,004,222 | 72 | 70,59 | 17,00 |
| მთლათ . | 7,089,479 | 425 | 100,00 | 100,00 |

ამნაირათ, ამ რიცხვებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ მეხუთე კურიის ამრჩევლები შეადგენენ 70% მთელი ამომრჩევლებისა; დეპუტატთა რიცხვი კი, რომელთაც ისინი გზავნიან, შეადგენს მთელ დეპუტატების რიცხვის მხოლოდ 17%. მსხვილ მიწათმფლობელთა კურიაში ერთი დეპუტატი მოდის 64 ამომრჩეველზე, ვაჭარ-მრაწველითა კურიაში—1 დეპ. 26 ამომრჩეველზე, ქალაქის მცხოვრებთა კურიაში—1 დეპ. 4193 ამომრჩეველზე, სოფლის საზოგადოებათა კურიაში 1 დეპ. 12290 ამომრჩევ., დაბოლოს, საყოველთაო კურიაში 1 დეპუტატი 69.503 ამომრჩეველზე. *)

აქედან თვალნათლივ სჩანს, თუ რამდენათ უსამართლოთ იყო დაყენებული არჩევნების საქმე ავსტრიაში. 26 კაპიტალისტი იმდენ დეპუტატს გზავნიდა, რამდენსაც გზავნიდა 69503 მუშა.

აი, ამგვარი არჩევნების წესრიგი იყო აქამდის ავსტრიაში. აი, ამ უსამართლოების წინაამდეგ გამოილაშქრა ავსტრიის მუშათა კლასმა. მან, გამხნევებულმა რუსეთის პროლეტარიატის გმირულ, თავგანწირულ ბრძოლით, მედგარი ბრძოლა გამოუცხადა მთავრობას და გადაჭრით მოითხოვა ამ გვარ ხრიკების გაუქმება და საყოველთაო, თანასწორ საარჩევნო უფლების შემოღება. მთავრობა იძულებული გახდა დაეთმო. და აი, ახლა, მაისის 14-ში მოხდება ამ ახალ წეს-რიგით არჩევნები.

ავსტრიის მუშა ხალხი, ერთი ორად

*). Государственный строй и политическія партіи. Австрія.

---

არაა დაცული. ამიტომ პროლეტარიატისთვის სულ ერთი არაა, როგორ პირობებში მოუნდება ბრძოლა: ფეოდალურ-თვითმპყრობელურში (რუსეთი), მონარქიულ-კონსტიტუციურში (გერმანია), მსხვილ ბურჟუაზიულ-რესპუბლიკანურში (საფრანგეთი), თუ დემოკრატიულ-რესპუბლიკანურში (რომელსაც რუსეთის სოც.-დემოკრატია ითხოვს). ყველაზე უფრო კარგათ, ყველაზე უფრო სავსეთ დემოკრატიულ რესპუბლიკაშია დაცული პოლიტიკური თავისუფლება, რა თქმა უნდა, რავდენათაც კი შეიძლება იყოს ის დაცული კაპიტალიზმის დროს. ამიტომ პროლეტარულ სოციალიზმის ყოველი მომხრე აუცილებლათ ცდილობს შემოღებულ იქმნას დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც საუკეთესო „გზა და ხიდი" სოციალიზმისკენ.

ამიტომ არის, რომ მარქსისტის პროგრამა დღევანდელ პირობებში ორ ნაწილათ იყოფა: **პროგრამა-მაქსიმუმათ**, რომელსაც მიზნად აქვს სოციალიზმის დამყარება, და **პროგრამა-მინიმუმი**, რომელსაც მიზნათ აქვს გზის გაკაფვა სოციალიზმისთვის დემოკრატიულ რესპუბლიკის შემწეობით.

როგორ უნდა მოიქცეს პროლეტარიატი, რა გზას უნდა დაადგეს ის, რომ შეგნებულათ განახორციელოს თავისი პროგრამა, შეგნებულათ ვაკაფოს გზა გამარჯვებისკენ და შეგნებულათვე ააშენოს სოციალიზმი?

**კო...**

(შემდეგი იქნება)

გამხნევებული ამ ბრწყინვალე გამარჯვებით, დიდ სამზადისშია. ჯერ კიდევ არჩევნებამდის თითქმის ორ თვეზე მეტია, მაგრამ იგი უკვე შესდგომია საარჩევნო აგიტაციას. მის ერთად-ერთ ნამდვილ წარმომადგენელს, სოციალდემოკრატიულ პარტიას, გამოუშვია ამ დღეებში ყველა ამომრჩევლებისადმი მოწოდება. რადგან ეს მოწოდება ფართოთ და გარკვევით უპასუხებს იმ კითხვაზე, რომელიც ჩვენ წერილის თავში დავსვით ე. ი. თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რა კითხვების გადაწყვეტას ეპირება ამჟამათ ავსტრიის მუშათა კლასი, ამიტომ მოგვყავს იგი: „საჭიროა,—ნათქვამია მოწოდებაში,—დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც მისცემს ხალხს მთელს უფლებებს და გავლენას. დღევანდელი კონსტიტუციონალიზმის აჩრდილი უნდა შეიცვალოს ნამდვილ კონსტიტუციონალიზმით. უნდა მოისპოს მე-14-ტე მუხლი კანონმდებლობისა, რომლითაც წამდაუწუმ ემუქრება აბსოლიუტიზმი პარლამენტს. უნდა მოისპოს დელეგატების მოწვევის კომედია, რომელიც ართმევს პარლამენტს უფლებას, რომ კონტროლი გაუწიოს საგარეო პოლიტიკას და სამხედრო საქმეს. ხალხის წარმომადგენლები მთელი სახელმწიფოს ბედ-იღბლის პასუხის მგებელნი არიან და სრული ავტორიტეტი უნდა ჰქონდეთ მთავრობისა და ხალხის წინაშე. ძველი, ორაზროვანი ძირითადი კანონები, თავისუფლების შესახებ, უნდა შეიცვალონ ნამდვილ ნორმალურ კანონებით, რომელთაც უნდა უზრუნველჰყონ და დაიცვან ყოველი მოქალაქე, ბიუროკრატიის ძალმომრეობისგან. რაც შეეხება ავსტრიის და ვენგრის ურთიერთ დამოკიდებულებას, საჭიროა ავსტრიის სრული დამოუკიდებლობა. მაგრამ, პირველ ყოვლისა საჭიროა დამყარდეს ხიმშვიდის პოლიტიკა, რაიცა თავის საფუძვლათ მოითხოვს ყველა ხალხისთვის **თვითგამორკვევის** უფლების მინიჭებას და საერთაშორისო სოლიდარობას, წინააღმდეგ დაბეჩავების და ექსპლოატაციისა.

ამ პოლიტიკურ მიზნების გარდა, საჭიროა კულტურული და ეკონომიური კითხვების გადაჭრაც. სახელმწიფო და სკოლა უნდა განთავისუფლდეს **კლერიკალების** ბატონობისაგან. **სოციალური** კანონმდებლობის შემოღება არ უნდა დაგვიანდეს. მუშათა კლასს, მის ცხოვრებას, მის სულიერ განვითარებას კანონი უნდა იცავდეს“.

„მოქალაქენო!—ამით თავდება მოწოდება—ვისაც გსურთ ავსტრიის აღორძინება თავისუფლების და დემოკრატიზმის საფუძველზე, შემოკრბით ჩვენს გარშემო; ვისთვისაც ძვირფასია ხალხთა შორის სოლიდარობა, მოიყარეთ თავი სოციალდემოკრატიის დროშის ქვეშ!“.

## პასუხათ ამხ. ზ—ს

გულდასმით გადავიკითხე თქვენი წერილი „წინ“-ის მე-10 ნომ. და ცოტა არ იყოს გამიკვირდა კიდეც. გამიკვირდა იმიტომ, რომ მე მოგეცით თქვენ კითხვები და მეგონა, ჯერ მიპასუხებდით და მერე მომცემდით კითხვებს. მაგრამ თქვენ ასე არ ინებეთ და არ ვიცი, რატომ. მე, მიუხედავათ ამისა, მაინც გიპასუხებთ იმ იმედით, რომ მერე მეც დამაკმაყოფილებთ. თქვენ მეკითხებით:

1) „მოვალე ვარ თუ არა მე, როგორც რედაქციის მდივანი, ვიცოდე, თუ ვინ სარგებლობს იმ დეპეშებით, რომელიც მოდის გაზ. „წინ“-ის „სახელზე“-ო. არ ვყოფთ უარს, რომ თქვენ უნდა იცოდეთ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ იცოდით კიდეც; ხედავდით, რომ მე დეპეშას ვსწერდი, თითონვე შემეკითხეთ—„იწერო“? (ეჭვი ხომ არ შეგდის თქვენ სიტყვაში!) იცოდით ისიც, რომ მე ვმუშაობდი გაზ. „ჩვ. ცხოვ.“-ში და, როგორც ასეთი, მოვალეც ვიყავი ხნობრივათ ყოველივე ახალი ცნობა მიმეწოდებინა რედაქციისათვის. მხოლოთ ერთი არ ვიცოდი, თუ დეპუტატ ზურაბოვის დეპეშა თქვენი და კომპ. მონოპოლიას შეადგენდა.

ეს ერთი.

2) „რატო არ დაინახეთ საჭიროთ პასუხი გაეცათ ჩემთვის, როცა შეგეკითხეთ დეპეშის შესახებ“?—ამბობთ თქვენ. მიკვირს, ღმერთმანი, ნუ თუ არ გახსოვთ, თქვენ შეკითხვაზე რა გითხარით რედაქციაში!? მე კიდევ იმას გავიმეორებ და გეტყვით, რომ მე ვერ წარმომედგინა, თუ რაიმე „განსაკუთრებითი მნიშვნელობა“ ქონდა დეპეშის სხვა რედაქციისთვის მიწოდებას (იგულისხმე „ჩვ. ცხ.“) და თუ ეს მიუტევებელ ცოდვათ ჩამეთვლებოდა.

3) „რატომ ინებეთ (!) და არ შემატყობინეთ ან მე, ან გაზეთის რედაქტორებს, რომ თქვენ ეს დეპეშა გინდათ „ჩვენი ცხოვრებისთვის“—მეკითხებით თქვენ. ღმერთო ჩემო! გეფიცებით წმიდა გიორგის, რომ არ ვიცოდი, თუ „უმაღლესი ნებართვა“ იყო საჭირო. რა ვიცოდი მე უბედურმა თუ პ-ს ნებართვა არ კმაროდა. თორემ რავა ღმერთი გამიწყრებოდა, უიმათოდ როგორ წამევალებდი,—თქვენ ქე იცოდით.

4) „ამხ. პ-მ იმის ნება დაგრთოთ, რომ მხოლოდ გადაგეწერათ, ეს დეპეშა თუ „ჩვ. ცხ. მიგეცათ დასაბეჭდათ?“—მეკითხებით თქვენ. პასუხი მოკლეა: პ-მ ნება დამრთო „ჩვ. ცხ.“ მოსათავსებლათ ამ ჩემი სიტყვების შემდეგ: „თუ კაცი ხარ გადავწერ დეპეშას და „ჩვ. ცხ.“ დავბეჭდავ მეთქი თუ არ გჯერათ კითხეთ ამხ. პ-ს.

5) მოგაგონდათ თუ არა, რომ ამ კითხვის გადაწყვეტა მარტო ამხ. პ-ზე არ იყო დამოკიდებული და თუ მოგაგონდათ რა ქენით?“—სწერთ თქვენ. პასუხი აქაც მოკლეა: დეპუტატის დეპეშა მე ვერ წარმომიდგენია სხვა მხრივ. თუ არ საზოგადოებაში ფართოთ გასავრცელებელი—და არა სამონოპოლიო მასალა „წინ“-ის და კომპ!...

6) საკადრისია თუ არა ის საშუალება, რომლითაც თქვენ დეპეშა მიაწოდეთ „ჩვენი ცხოვ.“ რედაქციას?“ უკანასკნელად მეკითხებით თქვენ. თუ შეხედავთ „კომერციული“ თვალთა ხედვის სრით, შეგიძლიათ თქვათ, რომ არა საკადრისია, მაგრამ, პირიქით, თუ შეხედავთ იდეიური მხრით, ყველა დამეთანხმება იმაში, რომ ს.-დ. პარტიის დეპუტატის დეპეშა არ შეადგენს რომელიმე რედაქციის ან კომპ. ხელუხლებელ საკუთრებას; მაშასადამე, არა საკადრისი აქ, ამ მხრით, არაფერი ყოფილა. რედაქცია, ჩემის აზრით, არის იდეის გამავრცელებელი ორგანო, და მასში იდეას უფრო მაღლა უნდა აყენებდეთ, ვინემ „კომერციას.“ ჩვენ ეს ასე გვესმის და თუ თქვენ სხვანაირათ—ეს რა ჩემი ბრალია!!

ასეთია მოკლეთ ჩემი პასუხი და ფაქტები კი, სანამ ჯერ არ დაგირღვევიათ, ისევ ფაქტათ რჩება... ფაქტია ის, რომ თქვენ, როცა დეპეშის შესახებ პასუხს მთხოვდით, სახეში „კომერციული“ ანგარიში გქონდათ, მაგრამ ამავე დროს ისიც ცხადია, რომ თქვენ თქვენი „კომერციული“ ანგარიშით ხელს უწყობთ ლიბერალურ „ტიფლისკი-ლისტოკის“ გავრცელებას და ს.-დემოკრატიულ გაზეთს ხელს უშლით. ამას გვეუბნება ფაქტები და რა ვქნათ. რა ვქნათ, როცა თქვენვე ამბობდით, რომ ფულს ვიხდით დეპეშაშიო, თქვენვე მითხარით, რომ დეპეშა არ უნდა წაგელო შენ, როგორც ჩვენი საკუთრებაო... მაგრამ კმარა, თითონ იცით, რაც მითხარით და მეც მკითხველს ლარ შევაწუხებ... ნახვამდის...

თქვენი **ი. მგელაძე**.

# დ ე პ ე შ ე ბ ი,

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

24—25 თებერვალი

### სახელმწიფო სათათბირო

**პეტერბურგი.** სოციალდემოკრატიულ ფრაქციის საღამოს სხდომაზე 30 წევრმა, ნაცვლათ ჩვეულებრივის 56-სა, გადასწყვიტა: 1) სახალხო ჯგუფების თხოვნით, რომელნიც თავიანთ თავს რაცხვენ მოუმზადებლათ ამნისტიის კითხვების წამოყენებაში, გამოარკვიოს კითხვა ამნისტიის წინადადების უკანვე დაბრუნებაზე; 2) 24 თებერვლის სხდომაზე აუცილებლივ დაისვას კითხვა, რომ სოციალდემოკრატიულმა ფრაქციამ, ამნისტიის კითხვის განხილვის დროს, მიუხედავათ იმისა, რომ მან უარი განაცხადა თავის კანდიდატურის წამოყენებაზე, სეკრეტრის ამხანაგის კანდიდატად ასახელებს სალტიკოვს—ს.-დ.

— სოციალდემოკრატების უარისყოფისა გამო, რომ ისინი არ მიიღებენ მონაწილეობას იმფორმაციონულ ბიუროში, შემდგარს სახალხო პარტიებისაგან გასაცნობათ და განსახილველათ უმთავრეს ტაქტიკურის და სხვა კითხვებისა, სახალხო სოციალისტებმა, ტრუდოვიკებმა და სოციალ-რევოლიუციონერებმა ბიუროში მოიწვიეს კადეტები მონაწილეობის მისაღებათ. კადეტებმა თანხმობა განაცხადეს. ბიურო შესდგება თვითეულ ფრაქციიდან ორ-ორ ამორჩეულ წარმომადგენლებისაგან.

**პეტერბურგი.** სხდომა გაიხსნა 11 ს. და 22 წ. გოლოვინის თავმჯდომარეობით. მორიგი საკითხი შეეხება სეკრეტრის ამხანაგების რიცხვის განსაზღვრას. მარცხნიდან ყვირილი: „ხუთი, როგორც შარშან“. **გრუდნინსკი.** (მინსკის გუბერნიიდან) წინადებას იძლევა შვიდი, ან რვა. **კაპუსტინი** წინადადებას იძლევა კენჭი იყაროს ყველა მსურველმა, უმეტესობის ხმის მიმღები იქნება ამორჩეული. **მელნინი** თხოულობს სეკრეტრების რიცხვის მომატებას ხმის უმეტესობით. მარცხნივ ყვირილია „ხუთი.“ **ოზელი** (რიგიდან) „საკმარისია ხუთი, სეკრეტარიატი არ საჭიროებს მეტ თვალყურის გდებას.“ **ივაშჩენკო** თხოულობს დააკმაყოფილონ ზომიერები და მოუმატონ სეკრეტრების რიცხვს. **მაკლაკოვი** წინადადებას იძლევა, სეკრეტრების რიცხვის გაუსაზღვრელათ, ამორჩეულებათ ჩაითვალნენ მომეტებულ ხმის მიმღებნი. **მაჰმუდოვი** (ბაქოს გუბ.) „მოგმართავთ თქვენ, ამორჩეულებს ხალხისა, და არა სტოლიპინის მიერ დადგენილებს“—მარჯვნივ ყვირიან: „ძირს.“—მემარჯვენები დგებიან და ყვირიან: „შეაჩერეთ ორატორი.“—უკიდურესი მემარცხენენი ტაშს უკრავენ. ხმაურობაა. **თავმჯდომარე**: „ორატორის შენიშვნის მიცემის უფლება ეკუთვნის თავმჯდომარეს და სხვა არავის, (ტაშის ცემა მარცხნივ და ცენტრში) ამასთანავე შევნიშნავ დუმის წევრს მაჰმუდოვს, რომ ყველა აქ მყოფი—ხალხის ამორჩეულია, ვადრე არ განვიხილავთ საბუთებს· ვინც უკანონოთ იქნება ამორჩეული, ის დაკარგავს ადგილს დუმაში და არც დუმის წევრი იქნება· უმაღლესი კრების ღირსება მოითხოვს, მოვეპყრათ ერთმანეთს პატივცემით ყველა მოსაზრებებში“.—**ალექსინსკი**: „ზოგიერთების ლაპარაკი სიმართლეზე სხვა გვარია: ჩვენ არავის ვართმევთ კენჭის ყრის უფლებას, გუშინ კენჭი იყარეს სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებმა, ზომიერებმაც იყარონ კენჭი. კაპუსტინი ამტკიცებს, რომ სამართლიანი იქნება დუმის ბიუროში წარადგინონ ყველა პარტიებიდან. რისა ეშინიან უმრავლესობას ოპოზიციონურ დუმისას? ეშინიან ოპოზიციისა და საშველათ ხმარობს საგანგებო დაცვას! (ტაშის ცემა მარჯვნივ) **პურიშკევიჩი.** პირველ გამოსვლაზედვე დუმაში, მე დაუჭერ მხარს მემარცხენეებს, მაგრამ სხვა მოსაზრებით, მემარჯვენე პარტიების წარმომადგენლებს არ შეუშვენით ამ დუმაში დაიჭირონ სათანამდებო მოხელეების ადგილები. მე უარს განვაცხადებდი ამგვარ ადგილის დაჭერაზე. (აღელვება ეტყობათ მარცხივ და ცენტრში), თავმჯდომარე აჩერებს ორატორს და მხარს უჭერს ალექსინსკის წინადადებას ხუთ თანაშემწეთა შესახებ მაკლაკოვის წინადადებას კენჭს უყრიან: „რიცხვი სეკრეტრის თანაშემწეებათ წამოყენებულ პირთა, არ უნდა განისაზღვრებოდეს“ დიდის უმრავლესობით წინადადება მიღებულია, მემარჯვენენი მხერს უჭერენ წინადადებას“.

**პეტერბურგი.** ამოირჩიეს ხუთი სეკრეტრის თანაშემწე: უსპენსკი—ს. რ.—355 ხმით, ხარლამოვი—კადეტი—360, კარტაშოვი ს. დ. მომხრე—356, სალტიკოვი—ს. დ.—317 ხ., მაკსიუტოვი—კადეტი—359 ხმით წინააღმდეგ 99.

**პეტერბურგი.** კადეტების ფრაქციის რწმუნებულებმა ფედოროვმა და სტრუვემ დღეს ინახულეს მიტროპოლიტი ანტონი მღვდელ პეტროვის შესახებ სამსჯავროს გადაწყვეტილების შეცვლის სათხოვნელათ. ანტონიმ უპასუხა, რომ გადაწყვეტილებას არ დაარღვევს და არც წამოაყენებს დუმაში საკითხს პეტროვის გასანთავისუფლებლათ. ფრაქციამ გადასწყვიტა მიმართოს ანალოგიურ შუამდგომლობით ობერ-პროკურორს—იზვოლსკის.

**პეტერბურგი.** დუმა იღებს წინადადებას მიიღონ სახელმძღვანელოთ პირველი დუმის შემუშავებული ნაკაზი, ამასთანავე მიეცეს უფლება გადაისინჯოს და შესწორდეს ნაკაზი. დუმა თითქმის ერთხმათ თანხმდება. დემონსტრატიულათ ეწინააღმდეგება მხოლოთ ერთი მემარჯვენე. შემდეგ თავმჯდომარე უხსნის დუმის წევრების განყოფილებებათ დაყოფის წესს და წინადადებას აძლევს პრეზიდიუმს და ზოგიერთ პირებს გავიდნენ კენჭის საყრელათ. შემდეგ დუმას აცნობებს რომ მასთან ს. დ. ფრაქციის სახელით საჩქარო განცხადება შეიტანა დეპუტატმა დერუსმა, რომლის გამომჟღავნებაზე მანდატების დამტკიცებამდე უარი უთხრა, რის შემდეგაც დერუსს ეკუთვნის ერთი პირველთაგანი სიტყვა. თავმჯდომარე წინადადებას აძლევს შესწყვიტონ სხდომა ოთხშაბათამდის, ან ხუთშაბათამდის ვიდრე განყოფილებები გაათავებენ დუმის რწმუნებულების გამოკვლევას.

**პეტერბურგი.** 5 ს. 55 წ. სხდომა განახლდა. განყოფილებები კითხულობენ დუმის წევრების სახელებს. 6 ს. და 15 წ. კრება დაიხურა ოთხშაბათამდის და ხუთშაბათამდის.

### სახელმწიფო საბჭო.

**პეტერბურგი.** საბჭომ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა სხდომები მოახდინოს ორშაბათობით და შაბათობით.

### თავდასხმა და მკვლელობა.

**ნოვოკილაევსკი.** ათას კაცისაგან შემდგარმა ბრბომ დაიჭირა ცხენის ქურდი, რომელიც ცდილობდა გლეხის ცხენის წაყვანას, გაასამართლა და მოკლა; თუმცა პოლიცია ცდილობდა ქურდის ხელიდგან გამოგლეჯას.

**ელისავეტგრადი.** წითელი ჯვრის საავათმყოფოს მახლობლათ ტრამვაის ვაგონის ფანჯრიდგან ესროლეს რუსთა კავშირის რაზმის მეთაურს ცნობილ ალექსანდრე პროხოროვს და მოკლეს· მკვლელი მიიმალა.

**პენზა.** სტანციის უფროსის ოთახში, როცა პოეზდი გაჩერდა, შევარდა ორი შეიარაღებული პირი, გაიტაცეს 2000 მანეთი და მიიმალნენ.

**ვარშავა.** სამმა შეიარაღებულმა პირმა კრაუზე კეხოვიჩის ფირმის კასსირს, ბალში გავლის დროს, წაართვა 95 მანეთი.

**მოსკოვი.** სამეურნეო ინსტიტუტის ხაზინადარზე თავდასხმაში მონაწილეობის მიღებისათვის დააპატიმრეს ნაფიცი ვექილი ჟდანოვი.

რედაქტორ-გამომც. მ. კვაჭაძე

სტამბა „საქმე“ მიხაილოვის პრ. № 40.